№ 250
ხუთშაბათი, 16 ნოემბერი, 1900 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 250
ხუთშაბათი, 16 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 ნოემბერს,

ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან, ქ.ქ. ეფემია მესხისა და ტასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

## ორი ჯიბგირი

პიესა 5 მოქ. და 7 სურათ. თხზ. პიერ დე-კურსელისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფემია მესხი, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძე, გარელი და სხ.; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ურუშაძე, ავალიანი, იმედაშვილი და სხ.

ანტრაქტებში დაუკრავს რუმინელთა ორკესტრი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია — დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბ, რნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფებითა და ნაჭრობით.

(50—6.—48) — მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## ახალი ამბავი

*** 14 ნოემბერს, მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს ალექსანდრე ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში გორის ეპისკოპოსის კირიონის მიერ საკრებულოს სამღვდელოების თანამწირველობით გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი მათის უდიდებულესობისა და სრულიად სამეფო სახლეულობის სადღეგრძელოდ. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ: დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი, ტფილისის გუბერნატორის თანამ. აღმასრულებელი სვეჩინი და სხვანი.

*** სოხუმიდგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „14 ნოემბერს, ქალაქის მოურავად 18 ხმის უმეტესობით 8 ხმის წინააღმდეგ ამორჩეულ იქმნა ბ-ნი სარაჯიშვილი“.

*** დღეს, 16 ნოემბერს, ქართულის დრამატიულის დასის მიერ, ვ. აბაშიძის საბენეფისოდ, წარმოდგენილი იქნება მობენეფისესაგანვე გადმოთარგმნილი ახალი პიესა: „ორი ჯიბგირი“. ამ წარმოდგენაში მთელი დასი იღებს მონაწილეობას და, სხვათა შორის, ქ-ნნი ეფ. მესხი და ტ. აბაშიძე.

*** დღეს, 16 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ქალაქის სასწავლებელთა კომისიას კრება ექმნება, რომელზედაც, სხვათა შორის, განიხილვენ შემდეგს საქმეებს: 1) ქალაქის სასწავლებელთა მკურნალისა და ფერშლისათვის შედგენილ წესდების პროექტს, 2) მოხსენებას ქა-

## ფელეტონი

### სამყურა

(გეშოვისა)

ქვეყანა მოხუცებულიყო და მე ახალგაზდა ვიყავ. ხალხი მეუბნებოდა, რომ ცოლს შენდა დაუკითხავად გული შეგრთავსო, მაგრამ მე ხალხისა არა მრწამდა. მე ყმაწვილი ვიყავ, ხოლო ქვეყანა—მოხუცებული.

მე ვიყავ ყმაწვილი, სწავლული და ღარიბი, ამისათვის მდიდარ და განათლებულ ცოლის შერთვას ვოცნებობდი.

ამ ოცნებაში ყოველთვის თვალწინ მიდგა ნახშირსავით შავი თვალები, ლალსავით წითელი ტუჩები და ამ ტუჩების ახლო-მახლო ორი ხალი, რომელიც მხიარულად თრთოდა, როცა პირი გაიღიმებდა, და იმალებოდა, როცა სახეს რაიმე მწუხარება გადაეკვროდა. ეს თვალები, ეს ტუჩები და ეს ხალები ერთს მშვენიერს ქალწულს, ლალას ეკუთვნოდა. ლალა იყო უბრალო გლეხის ასული. მთელ მისს სიმდიდრეს მისი სილამაზე შეადგენდა; მთელ მისს განათლებას—მისი გულ-უბრყვილობა.

გულ-უბრყვილო და მშვენიერი იყო იგი, და მეც მისი შეხვედრა სოფლის ახლო მინდორში მიყვარდა, სადაც ხშირად დავდიოდი.

მინდორი მდინარის პირად იყო გაშლილი. მდინარის გაღმა, ტყის ზემოდ, მწვანე ხავერდივით დაფენილიყო სოფლის ყანები. შორს მოჩანდა მაღალი მთები. როცა დილის მზე ამ ტურფა მხარეს გაანათებდა, მისი ოქროსფერი სხივები ბრჭყვიალებდა წყლის ტალღებში და ცვარმარგალიტით დანამულ ბალახებზედ, რომელთა შორის აქა-იქ სამყურა მორცხვად ირხეოდა. გრილი ნიავი ჰქროდა. აქ ტოროლის ხმა მოისმოდა, იქ ბუჩქებში მიმალული მწყერი დაიფთხრიალებდა ხოლმე. ჰაერს ავსებდა აყვავებულ მინდვრის საამო სურნელოვანება. ირგვლივ სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა. ყველა სიყვარულს უგალობდა. ხის ტოტზედ ხმა-ტკბილი ბულბული თავისს სატრფოს უძახდა. სადღაც შორს ყმაწვილი მწყემსი სალამურს არაკრაკებდა.

ამ ამო-ხმოვანს და ყვავილოვანს მინდორზედ პირველად დავინახე ლალა. ხშირად ვხვდებოდი ლალას და, რასაკვირველია, მხოლოდ სამუსაიფოდ. ჩემი მომავალი ცოლი მდიდარი და განათლებული უნდა ყოფილიყო.

ერთხელ სოფლის მინდორზედ ლალა დავინახე. იგი სოფლისკენ მიდიოდა და მეც გავყევი გზა-გზა ლაპარაკით. მზე ჰბრწყინავდა, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და ყვავილები ძლიერს სურნელოვანებასა ჰფენდნენ. ასე გეგონებოდათ, ბუნება დიდს დღესასწაულს იხდისო.

ბუნების დღესასწაული ლალას დღესასწაულიც იყო. თავისს დღეში არ მინახავს ასეთი მხიარული და საყვარელი, ასე რომ უნებურად ჩემსავ თავს დავეკითხე: ნეტავ რისთვის ვეძებთ ჩვენ ქალებში სიმდიდრესა და განათლებას? მარტო სილამაზე არა კმარა?.. მარტო სილამაზეს რად არა ვკმარობთ? ვეკითხებოდი ჩემს თავს, რომ უცებ ლალა დაიხარა და რაღაც ყვავილი მოსწყვიტა.

— ეგ რაღაა?—ვკითხე მე და შევხედე, ქალი გაწითლდა.

— სამყურაა, მე მეგონა, რომ მას ოთხი ყური ჰქონდა, და მისთვის მოვწყვიტე, მაგრამ მოვსტყუვდი. ამას მხოლოდ სამი ყური ასხია. ესა სთქვა და გაწითლდა.

— ოთხ-ყურა რად გინდოდა?—ვკითხე.

— მისთვის, რომ განძი მეპოვნაო—მომიგო.

— მარტო განძისთვისაა საჭირო ეს ბალახი, თუ სხვა რამისთვისაც ვარგა?

— იგი დაკეტილ კარსაც აღებს.

— იქნება დაკეტილ გულსაც აღებდეს?

ლალა სდუმდა.

— გამიგონია, მეთქი, ვუთხარი, რომ ოთხ-ყურა გულსაც აღებს.

— მართალია განაო?—იკითხა.

წყნარად გაუდექით გზას. ლალა ძირს იხედემოდა და რაღასაც ჰფიქრობდა. უცებ ერთ წერტილს დააჩერდა, კვლავ ძირს დაიხარა და ბალახი მოსწყვიტა. მზე ჰბრწყინავდა, ჩიტები ჭიკჭიკობდნენ, ყვავილნი მეტის სინაზით ინაზებოდნენ, მაგრამ საროს ტანადი ლალა ამ წამს მზეზედ უბრწყინვალესად, ჩიტებზედ უსაყვარლესად და ყვავილებზედ უნაზესად მეჩვენებოდა. სახე ვარდის ფრად ჰშვენოდა, გული ძალზედ უტოკავდა. ორი წვეთი, ორი მარგალიტი თვალთა სიღრმეში უნათებდა.

შემომანათა თავისი მარგალიტი თვალები და მითხრა:

— მგონი ახლა-კი ვიპოვნე, რასაც ვეძებდი.

და მაჩვენა სამყურა, რომელსაც, ჩვეულებრივ სამის ყურის გარდა, ება მეოთხე, მისის ლოყის ხალივით პაწაწინა და ლამაზი ყური. სახე გაბრწყინვებულმა ქალმა თავისი სამყურა გულზედ მომადო. მომაგონდა ჩემი სიტყვები და შევხედე.

ლალა სტიროდა, სტიროდა სიხარულისაგან. და ამ თვალებმა, ამ ცრემლებმა, ამ მისის გულიდგან ამოხეთქილმა სიყვარულმა მომხიბლა. დამავიწყდა სიმდიდრეც, განათლებაც და იქვე შევფიცე, რომ ლალა ჩემი იქნებოდა.

ფიცი არ გავტეხე: ლალა ეხლა ჩემია.

დავქორწილდით და ახლა ბედნიერნი ვართ. არავითარი ღრუბელი არ გვიბნელებს მზეს, არავითარი გველი არ გვიშხამავს სამოთხეს. არ ვოცნებობ მეტად მდიდარ და განათლებულ ცოლის შერთვას და აღარც ლალა ეძებს სამ-ყურას, რომ განძი იპოვნოს. ყველაფერში ვეთანხმებით ერთმანეთს, ერთის გარდა. ლალა იმ აზრისაა, რომ ვითომ ჩემი გული სამ-ყურამ გააღო, მე-კი დარწმუნებული ვარ, რომ მისმა თვალებმა, ცრემლმა და სიყვარულმა მოხიბლა და მოინადირა იგი.

მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, ხოლო ქვეყანა წინანდებურად მოხუცებულია. მაგრამ მრწამს ეხლა, რომ ზოგჯერ გული შერთავს კაცს ცოლს მისდა დაუკითხავად.

ისიც მჯერა, რომ გული ძალიან კარგსა სჩადის, როდესაც ზოგჯერ გონებას არ ეკითხება. არ ვიცი მხოლოდ, რას ჰფიქრობს ამის შესახებ ქვეყანა. შეიძლება იგი არ იყოს ჩემი თანახმა. ვინ იცის? ჩვენი ხნოვანობა სხვა-და-სხვაა: იგი დიდი ხანია მოხუცდა და მე ეხლაც ისე ყმაწვილი ვარ...

ძ. გ.

ლაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორისას ამ სასწავლებლის შენობის დათვალიერების შესახებ, 3) კომისიის წევრის ი. მ. ალიხანოვის მოხსენებას ქალაქის სასწავლებელთა გალიბის მეორე მასწავლებლის კანდიდატების შესახებ, 4) ქალაქის ხარჯით დაარსებულ პირველ-დაწყებით სასწავლებლების მომავალ 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვას და სხვ.

*** მეურნეობის სამინისტროს გადაუწყვეტია მომავალ 1901 წელს გამოგზავნოს ამიერ კავკასიაში გამოცდილ ტეხნიკოსთა მთელი რაზმი. რაზმს მინდობილი ექნება იმ ადგილების გამოკვლევა და მოწყობა, სადაც გადმოსახლებულ რუსთ დამკვიდრებას უპირებენ.

*** მეურნეობის მინისტრის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევის თავმჯდომარეობით შემდგარს განსაკუთრებულს კომისიას უკვე შეუდგენია პროექტი დებულებისა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა მოწყობა-დამკვიდრების შესახებ.

*** დღეს, 16 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტი განიხილავს ორს საყურადღებო საქმეს: შორაპნის მაზრის დაბა ქიათურის სამადნო-სამრეწველო ბოქაულად ნამყოფის ნესტორ ნიკოლოზის ძ. ს არდიშვილისა და დაბა საჩხერის ნაწილის ყოფილ ბოქაულის გაბრიელ ფიცხელაურისას, რომელთაც სამსახურის დროს დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებათ.

*** დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის ტფილისში ყოფნის დროს ა. ს. ღულაძეს მიუმართავს უავგუსტოეს პოეტისათვის და „კ. რ.“-ის ლექსების ქართულად გამოცემის ნება-რთვა უთხოვნია. ამ დღეებში დიდის მთავრინის ალექსანდრა იოსების ასულის კანტორამ შეატყობინა ბ-ნს ღულაძეს, რომ დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ ნება დართო „კ. რ.“-ის ლექსების ქართულად გამოცემისა. „კ. რ.“-ის ლექსებს განდეგილი თარგმნის თურმე.

*** 14 ნოემბერს, ღამე, გარდაიცვალა სომეხთა ცნობილი მოღვაწე ეპისკოპოსი ხორენ სტეფანე (სტეფანიანი).

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, ამ დღეებში უმართებულესს სენატს განუხილავს დაბა ხონის ბოქაულად ნამყოფის ბ-ნ ტატიშვილის საქმე. ტატიშვილს სამსახურში სიყალბის ჩადენა ჰბრალდებოდა. ტფილისის სამოსამართლო პალატას, როდესაც ეს საქმე განუხილავს, დამნაშავედ უცვნია ტატიშვილი და გადაუწყვეტია თანამდებობიდგან დათხოვნა. ტატიშვილს საქმე უმართებულესს სენატში გადაუტანია, სადაც ბრალდებულს ნაფიც-ვექილი თავ. სიდამონ-ერისთავი იცავდა. სენატს, მცირე ხნის თათბირის შემდეგ, სრულიად უდანაშაულოდ უცვნია ბ-ნი ტატიშვილი.

*** გაზ. „კავ.“-ს სიტყვით, ტფილისის პოლიცმეისტერის თან. ადმასრულებელმა 13 ნოემბერს აცნობა პოლიციის ბოქაულებს, გამოუცხადეთ ყასბებს, რომ, როგორც შარშან, წელსაც 1 ხარისხის ღორის ხორცი ჰყიდონ 10 კაპ. და 2-სა —8 კაპეიკადო. პოლიცმეისტერის ეს განკარგულება გამოიწვია იმან, რომ ქალაქის გამგეობას ღორის-ხორცის ნიხრი ჯერაც არ დაუდგენია. საზოგადოდ ქალაქის გამგეობის უყურადღებობისა გამო ტფილისში ყველაფერი გაძვირდა: პური, ხორცი, თევზი, კვერცხი, რის გამოც მცხოვრებლები დიდს გაჭირვებას ითმენენ.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, ადგილობრივი საკვირაო სკოლა, სადაც ხუთასამდე კაცი სწავლობს, უფულობისა გამო დიდად შევიწროებულია თურმე. ქალაქმა სუბსიდია მოუსპო სკოლას. სკოლის სასარგებლოდ სამუსიკო საღამოს გამართვა განუზრახავთ, მაგრამ ქალაქის მოურავს ქალაქის სახლიც არ დაუთმია საღამოს გასამართავად

*** როგორც ამავე გაზეთს ქუთაისის მაზრის ს. ეწერიდგან სწერენ, ამ სოფლის ორი სამინისტრო და ერთი სამრევლო სკოლა სრულიად სავსეა მოსწავლეებით, რისგამოც სასურველად უცვნიათ ეს სკოლები ორკლასიანად იქმნენ გადაკეთებულნი.

*** პარასკევს, 11 ნოემბერს, პოლიციის მეხუთე ნაწილში ამავე ნაწილის მცხოვრებმა ხორეშან ივანეს ასულმა ხიზანაშვილისამ განაცხადა, რომ ჩემმა შვილის შვილმა გიორგი ხიზანაშვილმა მომპარა სხვა და სხვა ოქროსი და ვერცხლის ნივთები სულ 250 მანეთისაო. დამნაშავე ხიზანაშვილი შეიპყრეს; რომელსაც მოპარული ნივთები აღმოაჩნდა.

*** სამშაბადს, 14 ნოემბერს, ნავთლუღში ერთი მეტად შემზარავი ამბავი მომხდარა. რეიტერის ქუჩაზედ მცხოვრებ გლეხს დიმიტრი ხაიცევს ღამით აკვანში მძინარე ბავშვი კონსტანტინე დასწვია. ამბობენ, ბავშვის პაპას ყალიონიდგან ცეცხლი ჩაუვარდა აკვანში და იმისაგან წაეკიდაო.

## ქალაქის საბჭო

13 ნოემბერი

ამ დღეს ქალაქის საბჭომ, სხვათა შორის, განიხილა გამგეობის მოხსენება ბელგიის უსახელო საზოგადოების მიერ ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად წარდგენილი 100,000 მან. უკანვე დაბრუნების შესახებ. ამ საქმის გარემოება შემდეგია. ქალაქსა და ბელგიის უსახელო საზოგადოების შორის დადებულ ხელშეკრულების მე 30 §-ის თანახმად ქალაქს ნება ჰქონდა მოეთხოვნა აღნიშნულ საზოგადოებისაგან ან 600,000 მან. სესხად მაშინ, როდესაც ბრიუსელში ბირჟა ნორმალურს მდგომარეობაში იქნებოდა, და ან 500,000 მან. წინდაწინ, რომელიც 15 წლის განმავლობაში ქალაქს გარდასახადში ერგებოდა. ქალაქისათვის უფრო სასარგებლო იყო სესხად 600,000 მან. მიღება, ისე რომ ყოველ წლიური გარდასახადი უსახელო საზოგადოებისაგან ქალაქს არ შესწყვეტოდა. როდესაც ეს სესხი მოსთხოვა ქალაქმა საზოგადოებას, მისი მმართველი ბ-ნი რობი ჯერ იმედს აძლევდა ქალაქის გამგეობას, მიიღებთ ფულსაო, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ შეატყობინა ქალაქს, რომ საზოგადოებას არ შეუძლიან აღნიშნულ სესხის გაღება, რადგანაც ბელგიაში ბირჟაზედ ფულის დისკონტმა 4%-ზედ მეტად აიწიაო. მაშინ გამგეობას მოუთხოვნია 500,000 მან. იმ პირობით, რომ ეს ფული შემდეგ, როდესაც ბირჟაზედ კრედიტი გაიაფდებოდა, 600,000 მანეთად შეევსო და სესხად ჩაეთვალა. ამ პირობაზე 12 სექტემბრამდე საზოგადოებამ ქალაქს არავითარი გარდაწყვეტილი აზრი არ შემოუთვალა და მხოლოდ ამ დღეს წარუდგინა ქალაქის კასსას 100 000 მან. შემდეგ ბ-ნმა რობიმ მოსწერა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქმა 600,000 მან. სესხად მიღების უფლება უკვე დაჰკარგაო; ამასთანავე რობიმ წარუდგინა ქალაქის კასსას [illegible]00,000 მან. კიდევ ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა უკან დაუბრუნოს უსახელო საზოგადოებას 300,000 მან. და სულ უარი განუცხადოს 500,000 მან. ავანსად მიღებაზედ. ამისდა მიუხედავად ქალაქის გამგეობა კიდევ შეეცადა, რამე ნაირად დაეყოლებია უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი და პირობა აესრულებინა, რისთვისაც მოიწვია იგი თავის სხდომაზედ. როდესაც დაეკითხნენ, თანახმაა თუ არა საზოგადოება მისცეს ქალაქს 600,000 მან. სესხად იმ სარგებლით, როგორიც ეხლაა ბელგიის ბირჟაზედ, ბ-ნმა რობიმ განაცხადა, რომ შევეკითხები ბელგიაში საზოგადოებას და პასუხს სამს დღეზედ შეგატყობინებთო. მაგრამ უკვე გავიდა 12 დღეც და პასუხი არ მიუღია გამგეობას. ამის გამო ქალაქის გამგეობას დაუდგენია: უკანვე დაუბრუნდეს უსახელო საზოგადოებას მიღებული 300,000 მან. და მოითხოვოს, რომ საზოგადოებამ მისცეს ქალაქს ყოველ წლიური გარდასახადი.

საბჭოში გამგეობის ამ მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია ხმოსნებთა შორის. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ უფრო მეტად საზარალოა ქალაქისათვის ამ ფულების უკან დაბრუნებაო. მეორენი კი — დაუბრუნდეს საზოგადოებას ქალაქის გამგეობის დადგენილების თანახმად მიღებული ფული და მოეთხოვოს ყოველ წლიური გარდასახადიო. ორი საათის კამათის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით დაამტკიცა გამგეობის დადგენილება.

შემდეგ რამდენიმე წვრილი საქმეების განხილვისა საბჭომ დაამტკიცა ქალაქის გამგეობის დადგენილება იმის შესახებ, რომ გადაიდოს 300 მან. ქალაქის ცეცხლის მქრობელ რაზმის შენობის შესაკეთებლად, რადგანაც იმ 3000 მანეთით, რომელიც გადადებულია ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგომ სახლის დასაქირავებლად, დღევანდლამდე ვერსად ვერ გამოუძებნიათ მოხერხებული სადგომი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფელი ანაგა,** (სიღნაღის მაზრა), 6 გიორგობისთვე. ამ ბოლოს დროს ბ-ნი სიღნაღის მაზრის უფროსის რჩევითა და მეთაურობით ოთხის სოფლის (კარდანახის, ანაგის, ვაქირისა და საქობოს) საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა და გადასწყვიტა, რომ ს. ანაგაში თავიანთის ხარჯით სამკურნალო გაეხსნათ. ამ აზრის შესასრულებლად განსაკუთრებული კომიტეტიც ამოირჩიეს, რომელმაც მალე საკმაოდ კარგად მოწყობილი სახლი დაიქირავა და ყოველისფერი მზამზადა სამკურნალოს გახსნისათვის. კვირას, 5-ს გიორგობისთვეს, დიდ-ძალი ხალხი იყო შეყრილი ს. ანაგაში სამკურნალოს წინ და მოუთმენლად ელოდნენ მისს კურთხევას. ოთხისავე სოფლიდგან მოსულ გლეხთა გარდა, აქვე იყვნენ სოფლის მასწავლებლები, მღვდლები, მახლობელი თავად-აზნაურობა და სიღნაღელები და დანიშნულს დროზედ მაზრის უფროსიც მობრძანდა. სამკურნალო სამის მღვდლის თანამსახურებით იქმნა ნაკურთხი. კურთხევის შემდეგ მღვდელმა მ. ბენაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ხალხმა ყურადღებით მოისმინა.

სამკურნალო კერძო სახლშია მოთავსებული, სოფლის შუა ადგილას, ასე რომ ყველა სოფლისათვის ხელმისაწვდომია. მაგრამ, როგორც შევიტყეთ, ჯერ ბევრი რამ თურმე აკლია, როგორც ახლად დაწყებულ საქმეს. იმედია, სამკურნალოს კომიტეტისა და ბ-ნის მაზრის უფროსის შრომითა და მეცადინეობით მალე ყოველივე შევსებულ იქნება და სრულს წარმატების გზას დაადგება. ცოტა არ იყოს გვაკვირვებს მხოლოდ ერთმა გარემოებამ: სამკურნალოს გახსნაში მონაწილეობა მიუღიათ მხოლოდ გლეხებს, მაშინ როდესაც ამ ოთხს სოფელში კეთილშობილნი და მოსული ხალხი საკმაოდ ბლომადაა. ამასთაც რომ თითომ წელიწადში 4—5 მანეთი გამოიღოს, სამკურნალოს სულ ცოტა 300 მანეთი შეემატებოდა და ამ ფულით-კი შეიძლებოდა მოეწვიათ ჩვენის ხალხისთვის მკურნალზედ არა ნაკლებ საჭირო ბებია (როგორც შევიტყეთ, სწორედ კურთხევის დროს უკანასკნელ დღეში თურმე იყო ერთი მელოგინე, მაგრამ მკურნალს არ აჩვენეს). ამითი მოსული და კეთილშობილები უფრო მოგებაში იქმნებოდნენ, რადგან სიღნაღიდგან მკურნალის ჩამოყვანა და წამლობა 8—10 მან. ნაკლებ არა ჯდება და აქ-კი მთელის წლით მკურნალობა და წამლობა სულ 5 მან. დაუჯდებოდათ.

ამ ჟამად სამკურნალოში ერთი მკურნალია და ერთი ფერშალი. მეორე ფერშალიც დაუნიშნიათ თურმე და ფერშალსა და წამლებს მალე მოელიან. სამკურნალო, ჩვენის აზრით, ხალხს სარგებლობას მაშინ მოუტანს, როდესაც მისნი მმართველნი — მკურნალი და ფერშლები ხალხის ნდობასა და სიყვარულს დაიმსახურებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი სამკურნალოს ახლოც არ მიეკარება და ისევ სოფლის ექიმბაშებსა და მკითხავებს დაუწყებს უკან დევნასა. იმედია ამისათვის ანაგის ახალგაზრდა მკურნალი სწორედ ამ გარემოებას მიაქცევს უპირველესს ყურადღებასა და სიყვარულსა და ნდობას ხალხისას მალე დაიმსახურებს. დასასრულ არ შეგვიძლიან მადლობა არ გამოუცხადოთ ბ-ნს სიღნაღის მაზრის უფროსს, ბოქაულს თავ. ნ. ერისთავსა და კომიტეტის წევრებს, რომელთაც ამ საქმის შესასრულებლად არავითარი შრომა არ დაზოგეს და კიდევაც სასურველად დააგვირგვინებს იგი.

მოსული

—

**ს. მარტვილი** (სენაკის მაზრა). ს. მარტვილში გუბერნატორის ნება-რთვით წარსულ ოქტომბრის 20—28 რიცხვებში ბაზრობა იყო დანიშნული. დ. ნაოდალევის „დეპუტატებმა“ 20-დგან დაიწყეს კარვების კეთება და სხვა მზადება ბაზრობისათვის. პირველს სამს დღეს კოკის პირული წვიმა მოდიოდა და მარტვილელებმა იმედი გარდაიწყვიტეს, — უამინდობისა გამო არაფერი იქნებაო, მაგრამ საბედნიეროდ ხუთშაბათიდგან მშვენიერი დარი დაიჭირა და ხალხმაც დაიწყო თავის მოყრა. პარასკევს, შაბათსა და კვირას უთვალავი ხალხი მოაწყდა. უნდა ვსთქვათ, რომ მარტვილში ეს ბაზრობა დროის შესაფერად არის დანიშნული: ამ დროს მუშა კაცი თავისუფალია, მას უკვე სახლში აქვს შეინახული. გარდა ამისა, ეს დრო აღების მიწირული დღეებაა და, მაშასადამე, ქორწილების საუკეთესო დრო, რომლის მოსაწყობადაც, ვისაც კი შემთხვევა აქვს, საშუალება ეძლევა ყოველ ნაირი საჭირო ნივთები შეიძინოს. ამ გვარად გლეხი ორ ნაირად მოგებული რჩება: ნივთს თუ პირუტყვს ბაზრის ფასად ჰყიდის, ამ ფულით-კი საჭირო ნივთეულობას იძენს. თუმცა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო წელს მარტვილის ბაზრობა იმერეთიდგანა და სხვა შორეულ ქვეყნებიდგან მოსულ ვაჭრებით მდიდარი არ იყო, მიუხედავად ამისა, მომავალში დაიმედებულნი ვართ, მარტვილის ბაზრობა სხვებს, მაგ., დ. ძველ-სენაკისა, ხობისა და აბაშის ბაზრობას არ ჩამოუვარდება. ბაზრობა კარგად გათავდა: ქურდობა, ჩხუბი ან სხვა რამე უწესოება არა მომხდარა რა, რის გამოც მარტვილის ბოქაულის ბ-ნ რაფიელ დვალის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ. ორიოდე სიტყვაც წიგნთ საცავ სამკითხველოს შესახებ. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც მარტვილში სამკითხველო არსებობს. ამ ხნის განმავლობაში სამკითხველომ საკმაოდ შეიძინა და შეიძლება თამამად ვსთქვათ, რომ საზოგადოებისათვის სამკითხველო არსებით მოთხოვნილებად გადაიქცა, მაგრამ საწუხაროდ, ერთობ დარიბია, შემოსავალი სხვა და სხვა ხარჯს ვერ ასწორებს და სხვა. ყველაზედ მეტად-კი სახლის ქირაა სამკითხველოსათვის საგრძნობელი, რომელიც მას წელიწადში 60 მან. უჯდება. სამკითხველოს რომ საკუთარი სახლი ჰქონოდა, მაშინ ეს ფული სხვა საჭიროებას მოხმარდებოდა და რამდენსამე ჟურნალ-გაზეთებს მეტს გამოიწერდით. ეს გარემოება ბევრს აწუხებდა, მაგრამ ვერავინ ვერ უშველა. ახლა, როგორც შევიტყეთ, ბ-ნს ვასილ ტატიშვილს (მსაჯულს) ამ საჭიროებისათვის 80 მანეთამდის ფული შეუკრებია. მართალია ეს ფული სამკითხველოს შესაფერ შენობას ვერ შესძენს, მაგრამ მკითხველი საზოგადოება ბ-ნის ტატიშვილის განზრახვას თანაგრძნობით მიეგებება და სამკითხველოს ამ მხრივ უზრუნველ ჰყოფს, ე. ი. ფულით შემწეობას აღმოუჩენს. ჭეშმარიტად დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ტატიშვილი. იმედია იგი თავისს განზრახულ კეთილს საქმეს სასურველად დააგვირგვინებს და მით სამკითხველოს შემდეგს წარმატებას ხელს შეუწყობს.

პ. ჭ—ძე.

## თეატრის მატიანე

—

ოპერა. სამშაბათს, 14 ნოემბერს, ტფილისის სახაზინო თეატრში ჩაიკოვსკის 3 მოქმედ. ოპერა „Евгенiй Онѣгинъ“ წარმოადგინეს. ოპერის დაწყებამდე მთელმა საოპერო დასმა და ხორომ სახალხო საგალობელი „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა!“ იმღერა, რომელიც დამსწრე საზოგადოების თხოვნით სამჯერ იქმნა გამეორებული.

ამ ჟამად მოთამაშეთა შორის საზოგადოების ყურადღება სადებიუტოდ პირველად გამოსულმა მომღერალმა ქალმა ქ-ნმა გუმჩინამ მიიპყრო, რომელიც ტატიანას როლს ასრულებდა. საკმაოდ ტკბილი და რბილი ხმა ქ-ნის გუმჩინასი, მოხდენილი თამაშობა, შესაფერი მიმოხვრა და სახის გამომეტყველება თავდებია იმისი, რომ იგი ოპერაშიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისევე დაიმსახურებს საზოგადოების ყურადღებას, როგორც სადამოებსა და კონცერტებზედ დაიმსახურა პეტერბურგში. ჩვენ პეტერბურგში იგი არა ერთხელ და ორჯელ გვინახავს ამგვარს სადამოებსა და კონცერტებზედ და მუდამ აღტაცებით მიჰგებებია საზოგადოება, მაგრამ ერთია სათქმელი, რომ სულ სხვაა ასეთის სადამოების მოკლე პროგრამმა და სხვაა ოპერაში მთელის როლის შესრულება. ეჭვი არ არის, მეორესთვის ხმაც მეტია საჭირო და დახელოვნებაც. პირველი ბუნებრივს ნიჭს შეადგენს, მეორე შრომითა და მეცადინეობით შეიძინება. როგორც უკვე მოგახსენეთ, ხმაც შესწევს, პირველსავე გამოსვლაზედ საზოგადოების ყურადღება მიიქცია, რამდენჯერმე ტაშის ცემითა და ვაშას ძახილით მიეგებნენ, ერთი ადგილი კიდევაც გაამეორებინეს და ყვავილების თაიგული მიართვეს მოწონების ნიშნად, მაგრამ მეორესათვის მეცადინეობა, ვარჯიშობაა საჭირო, რასაც, ეჭვი არ არის, მალე და ადვილად შეიძენს. დანარჩენ მოთამაშეთა შორის უნდა აღვნიშნოთ ბ-ნი კამიონსკი, რომელმაც საუცხოვოდ შეასრულა ონეგინის როლი. მისი გრძნობით სავსე თამაში და უნაკლულოდ შემუშავებული ხმის ღონება მართლაც ღირსეულად დააფასა საზოგადოებამ, რამდენჯერმე აღტაცებით მიეგება, გაამეორებინა და უსაზღვრო ტაშის კვრით დააჯილდოვა. საერთოდ ოპერამ კარგად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო.

დამოუკიდებელი

—

5, 6 და 7 გიორგობისთვე, ქ. ქუთაისი.

ბ-ნ მესხიშვილის დ სმა ხასიძის მიერ გადმოკეთებული დრამა „ბედს ვერ წაუვალ“ წარმოადგინა. ეს პიესა, რამდენადაც გვახსოვს, ტფილისის დრამატულ საზოგადოებისაგან დაწუნებული იყო და განდევნილი რეპერტუარიდგან; მაგრამ შარშან ბ-ნმა მესხიშვილმა ეს მკვდარი პიესა თავისის ძლიერის ნიჭით ხელ ახლად გააცოცხლა. ეს დრამა ბ-ნმა მესხიშვილმა შარშან ტფილისში ითამაშა, ქუთაისის საზოგადოებამ ორჯელ გაამეორებინა და ეხლაც დაიდგა. მაყურებელნი, როგორც ტფილისისა, ისე ქუთაურნი, ეხლაც ვერ გამორკვეულან აღტაცებისა და განცვიფრებისაგან მესხიშვილის მიერ ვარდანაშვილის როლის შესრულებით; ყველანი იმას გაიძახიან, თუ რა ძალა უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ოთხის აქტის განმავლობაში არტისტი დამბლად დაცემულ კაცის მდგომარეობაში იყოს და ერთხელაც არ შესცვალოს იგი. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ამ წარმოდგენას ხალხი, ჩვეულების წინააღმდეგ, საკმარისად დაესწრო. ბ-ნმა მესხიშვილმა ხალხს იმედი არ გაუცრუვა და შესანიშნავად ჩაატარა თავისი როლი.

ამ სეზონში პირველად გამოვიდა სცენაზედ ქ-ნი ივანიძისა, რომელმაც დაკვირვებით ჩაატარა თავისი როლი (ვარდანაშვილის მეუღლე) და საზოგადოებას იმედი აღუძრა, რომ რიგიანი მსახიობი შეემატება. კარგები იყვნენ აგრეთვე ქ-ნნი ჩხეიძისა, ჩიქოვანი და ბ-ნი ბალანჩივაძე.

დაბოლოს ცაგარლის კომედია „ჭკუის მჭირს“ წარმოადგინეს, რომელში ბ-ნ აწყურელის ხელოვნურმა თამაშობამა და ცაგარლის თხუნჯამა, გემრიელმა ენამ ხალხი სიცილით დახოცა.

—

6 ნოემბერს ბ-ნ დალსკის დასმა რუსულად „ოტელლო“ წარმოადგინა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. ოტელლოს როლს ბ-ნი დალსკი თამაშობდა. მესამე მოქმედებაში ოტელლოს სულიერი მდგომარეობა ეჭვების შეპარვით დალსკიმ საუცხოვოდ დახატა, მაგრამ დანარჩენში სუსტი იყო. სამინლად გააფუჭეს მთელი უკანასკნელი მოქმედება, რომელშიაც, ტრაგიზმის მაგივრად, რაღაცა ხუმრობა გაურიეს; ამის გამო ხალხზედ არავითარი გავლენა არ იქონია. უვარგისი იყო აგრეთვე იაგოს როლის შემსრულებელი.

7 ში „რევიზორი“ ითამაშეს.

—

მინდა, დაპირებისამებრ, ორიოდე სიტყვა თეატრში მოსიარულე საზოგადოებას გავუზიარო (რასაკვირველია, სულ ყველას არა), რომელიც ზრდილობას ხშირად უხვევს ხოლმე; მაგალ., როდესაც სცენაზედ მსახიობნი თამაშობენ და ხალხის ყურადღება იქითკენ არის მიქცეული, იმ დროს პარტერში ან ბალკონზედ ხშირად ლაპარაკი ისმის. ეს ორნაირი დანაშაული გახლავთ. დანაშაულობა მსმენელის წინაშე და დანაშაულობა მოთამაშის წინაშე. მაყურებელს ნებას არ ვაძლევთ მთლად მოისმინოს პიესა და ამისი ზნეობრივი უფლება-კი არა გვაქვს, არა გვაქვს უფლება სხვისი მყუდროება დავარღვიოთ. მოთამაშეს ხომ გულს ვუხეთქავთ ჩვენის უყურადღებობითა და საბუთს ვაძლევთ უგულოდ მოეკიდოს როლს. ვის მოეწონება აბა, კაცი ვისმე ელაპარაკებოდეს და მსმენელი-კი ზურგს აქცევდეს? ჩვეულებრივი მოვლენაა აგრეთვე ხალხი იმ დროს შემოვიდეს დასასხდომად, როდესაც ფარდა ახდილია და თამაშობა დაწყებულია. მერე ზოგიერთი ვაჟბატონი ნელა ხომ არ გაივლის; გაქვს ბ-ნო, ბრაგა-ბრუგი, თითქოს განგებ უნდა ყველას ყურადღება მიიქციოსო, ის კი ავიწყდებათ, რომ ამოდენა ხალხი პიესას ყურს უგდებს.

იმედია, საზოგადოების ის ნაწილი, რომლის შესახებაც ლაპარაკი მქონდა, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და სამართლიანობას და ზრდილობას მიჰხედავს.

გ. საყვარელიძე

# რუსეთი

—

რუსეთის სატახტო ქალაქის გაზეთები სწერენ: „რადგანაც შორეულს აღმოსავლეთში ომიანობამ დიდი ხარჯი გამოიწვია, მთავრობა ორ მილიონ მანეთის მაგიერ მხოლოდ ერთ მილიონს გადაადებს მომავალ წელს თავად-აზნაურთა შვილებისათვის პანსიონების დასაარსებლად.

— აზრადა აქვთ პეტერბურგში გამართონ სრულიად რუსეთის ლოთის მომშენებელთა კრება. უმთავრესი კრების მიერ გადასაწყვეტი საგანი იქმნება იმ საშუალებათა შემუშავება, რომელნიც მიღებულ უნდა იქმნენ ტრიხინის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— რუსეთში სულ 4 საბეითალო ინსტიტუტი არსებობს. ამ ინსტიტუტების შესანახად 1901 წელს საერო განათლების სამინისტრო თხოულობს სულ 377,400 მანეთს, აქედგან 36 ათასს მანეთს სტიპენდიებისთვის.

— სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სავალდებულოდ გაჰხადონ ყველა მრევლის მღვდელთათვის სასკოლო ბავშვების სიმღერის შეგნება.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** მშვიდობიან მოლაპარაკების წარმომადგენელთ ევროპის სახელმწიფოთაგან და ჩინეთის რწმუნებულთ ამ ჟამად დიდი თავის მტვრევა აქვთ იმის შესახებ, თუ ჩინეთმა სახელმწიფოთა ზარალისა და ხარჯის ასაზღვევად რა უნდა გადაიხადოს... მაგრამ უმთავრესი ავიწყდებათ: სახელდობრ, საიდგან და როგორ, როდესაც ჯერ დღემდისაც დიდად დავალიანებულია ჩინეთი და არ იცის როგორ გაასტუმროს ვალი. მარტო გერმანია თხოულობს 200 მილიონ ფრანკს იმის საზღაურად რაც დღემდის ხარჯი გაუწევია ექსპედიციაზედ. მაშასადამე, ყველამ რომ ამდენი მოითხოვოს, ექვსი მოკავშირე სახელმწიფო ერთად 1 მილიარდსა და 200 მილიონ ფრანკს მოითხოვს. ახლა თუ იმას ვიგულისხმებთ, რომ ჩინეთის ექსპედიციის საქმე ჯერ ეგრე მალე არ გათავდება და მეორეც, არეულობასა გამო დაზარალებულნი კერძო კაცნიც მოითხოვენ ზარალის ზღვევას, მაშინ ხომ საერთო ჯამი საზღაურისა 2 მილიარდს აღემატება. აი, სწორედ ამ გარემოებას მიაქცია პარიზის ყურადღება დეპუტატმა დ'ესტურნელლმა, რომელსაც სადიპლომატო ასპარეზზედ დიდ ხანს უმოღვაწნია, და თავისი შენიშვნები წარუდგინა: „მართალია, საფრანგეთის ერის მამულის სიყვარული არავითარს მსხვერპლს არ შეუშინდება, მაგრამ საიდგან უნდა ავიზღოთ ჩინეთის ექსპედიციის ხარჯი? ვსთქვათ თუნდაც, რომ ჩინეთის მთავრობა დავითანხმეთ და სამხედრო კონტრიბუციის გარდახდაზედ ხელი მოვაწერინეთ. საიდგან უნდა მოგვცეს ჩინეთმა 2 მილიარდი ფრანკი, როდესაც ჩინეთის საბაჟო გარდასახადის $^2/_3$, ე. ი. 100 მილიონი ფრანკი ძველი ვალების გასტუმრებას უნდება; აქედგან რჩება მხოლოდ $^1/_3$-და, რომელიც მმართველ-გამგეობას ჰხმარდება. ესეც რომ ვალების გასტუმრებას მოახმაროს, მაშინ ხომ ქვეყნის ფინანსების საქმე მთლად დაიცარა, აირ დაირია. გარდა ამისა, ჩინეთში ოქრო აღარ არის და ვერცხლის ფასმაც ძლიერ დაიწია. ამის გამო ციის ქვეშეთი იმპერია იძულებული იქმნება 100 მილიონის მაგივრად 200 მილიონი იხადოს, რომ ღირებული მიუზღოს ყველას, მაგრამ ეს სულ მთლად დააუძლურებს და გააღარიბებს სახელმწიფოს. მაშინ მოვალენი საზღაურის ფასად ჩინეთს ადგილებს მოსთხოვენ და ეს-კი ჩინეთის დანაწილებას გამოიწვევს, რასაც, უეჭველია, საერთო ომი მოჰყვებაო. ამისათვისო, — სთქვა დ'ეტურნელლმა, — საფრანგეთი მოვალეა ახლავე გააფრთხილოს სახელმწიფონი, რომ, თავისსავე საკუთარ სარგებლობის გულისათვის, მოთხოვნილებათ უკლონ, შეღავათით მოეპყრანო. დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვეთ, მაგრამ ჩინეთის ფულებისა-კი აგრე დიდი იმედი ნუ გექნებათ. ვშიშობ იმას, რომ სახელმწიფოთ საზღაურის უკან დევნაში გაცილებით მეტი ხარჯი არ მოუვიდეთ. კონტრიბუცია ახალს განხეთქილებას, შეტაკებას, ახალს მსხვერპლს მოითხოვს და ეს კი თვითონ ევროპასვე დაამძიმებს, დააუძლურებსო.“ (ტაშის ცემა ისმის).

**ჩინეთი.** გერმანიის ელჩის ბარონის კეტტელერის მკვლელის ჩვენება გამოძიების დროს. მკვლელი მანჯურის ოფიცერია, სახელად ენ-ხაი.

„სახელად ენ-ხაი მქვიან, წერა-კითხვა არ ვიცი. რაზმს, რომელშიაც მე ვმსახურებდი, ვეი-ტინ-აი-შენი, პუ-ტუიჩუნგინგი ჰქვიან. უბრალო სალაპარაკო ენაზედ ტინგ-ცზე-ტუის ეძახიან.

19 ივლისს, ნაშუადღევის 1-ლი საათი იქნებოდა, რომ პრინცისაგან ბრძანება მივიღეთ ქუჩის კუთხეები დავეჭირა. მე 30-ის კაცით ჩეზ-აი-ფუხუ ტუნის ქუჩის კუთხე დავიჭირე.

ნაშუადღევის 4 თუ 5 საათი იქნებოდა, რომ პრინცისაგან ბრძანება მივიღე: „თუ რომ უცხოელები გამოჩნდნენ, სროლა დაუწყეთო“. ამ დღეს არც ერთს უცხოელს არ გამოუვლია.

ენ-ხაის თარჯიმანმა კორდესმა ამ ადგილას ჩვენება გააწყვეტინა და შენიშნა, რომ 19 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზედ თითონ მე გავიარე ამ ქუჩაზედ, მაგრამ ხმა არავის გაუციაო.

ენ-ხაი. იმ დროს უთუოდ პრინცის ბრძანება ჯერ არ გვექნებოდა მიღებული.

კორ ესი. რომელი პრინცისა?

ენ-ხაი. არ ვიცი სწორედ. პრინცის სახელი ჩვენთვის არ უცნობებიათ. ეს შემიძლიან მხოლოდ ვსთქვა, რომ პრინცი ცინი მთავარ-სარდლად იყო და ტუანი კორპუსის უფროსად.

პრინცის ბრძანება რომ გადმომცეს, პირველად ეჭვი შემეპარა; ამისათვის მაშინვე გენერალ ფუ-ლიანგთან მივედი ბანაკში და დავეკითხე. გენერალმა ბრძანება გამიმეორა.

იმ დამეს ახალი ბრძანება აღარა მომდია-რა. მაგრამ კთხოვთ ჩაინიშნოთ, რომ უცხო სახელმწიფოთა ელჩებისა, ან-და კერძოდ გერმანიის ელჩის მოკვლა არავის უბრძანებია. ჩვენ მხოლოდ ნაბრძანები გვქონდა: „უცხოელებისათვის გვესროლა, ვინც უნდა ყოფილიყო!“

როდესაც 20 ივლისს, ქალაქის სამხრეთ მხარეს 2 „პალანკინი“ გამოჩნდა, ჩვენ მაშინვე თოფები მოვიმარჯვეთ და მიზანში ამოვიღეთ. მე სხვებზედ უფრო სამხრეთით ვიდექი და ამის გამო პირველად თოფი მე დავცალე.

სასიკვდილოდ დაჭრილმა ელჩმა კიდევ მოასწრო და რევოლვერი მესროლა. მომესმა, როგორ წუწუნით გამორბინა ტუვიამა. ელჩმა რამდენიმე სიტყვაც წარმოსთქვა, მაგრამ აზრი ვერ გავუგე. შემდეგ ზურგზედ დაეცა და სული განუტევა. „პალანკინი“ რომ გავარდვიეთ, ელჩის რევოლვერი ვიპოვნეთ, რომელსაც ერთი სროლა ტყვიაწამალი აკლდა.

თქვენ, ბ-ნო თარჯიმანო, თქვენი „პალანკინიდგან“ გამოხტით მაშინვე და ტი-ტაი-ენის ქუჩისაკენ გაქანდით. ჯარის-კაცებს გამოდევნება უნდოდათ, მაგრამ ნება აღ მივეცი.

კორ ესი. მაგრამ მახსოვს, რომ გვალ-და-გვალ ვიდაც უშბოსნები მომდევდნენ.

ენ-ხაი. არ ვიცი, ვინ იქმნებოდნენ. მაგრამ, ეჭვი არ არის, ჩემი ჯარის-კაცები არ იყვნენ.

ელჩის რევოლვერი და საათი მე ავიღე. ჩემმა ჯარის-კაცებმა კეტტელერის გვამი გუ-აი-ფუს ქუჩის კუთხეში მიიტანეს და დასდეს იმ ადგილას, საიდაც ქუჩა ჩრდილოეთისაკენ შეუხვევს. გვამი არავის არ შეუგინებია. პირ-იქით, ჯარის-კაცებს ვუბრძანე ედარაჯნათ. როგორც შემდეგ შევიტყე, ელჩის გვამის დასაფლავების ბრძანება გენერალს სუ-ლუ ტანს მიეცა.

„Times“ სწერს: „ლიხუნგ-ჩანგი გვარწმუნებს, რომ პრინცი ტუანი მონგოლის საზღვარზედ გადასულა, რომ აქ თავისს სიმამრთან შეაფაროს თავი. ტუანის სიმამრი მდიდარი და ძლიერი პრინცია მონგოლიისა“.

— როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამერიკას პირდაპირ წინააღმდეგობა გამოუცხადებია იმის შესახებ, რომ ჩინეთის არეულობაში დამნაშავე პრინცები სიკვდილით იქმნენ დასჯილნი და უზომო საზღაური მოსთხოვონ. ამითი აიხსნება უთუოდ ის გარემოება, რომ ელჩებს გარდაუწყვეტიათ თავიანთი პირვანდელი გარდაწყვეტილება დამნაშავე პრინცებისა და უმაღლეს მოხელეთა სიკვდილით დასჯის შესახებ შესცვალონ და მოსთხოვონ მხოლოდ უდიდესი-სასჯელი, რომელიც ჩინელთა კანონით არის მიღებული. მაგრამ ესეც ტყუილი იმედია! ჩინელების კანონით, მაგალითად, მთავარ-სარდლის დასჯა მთავრობას არ შეუძლიან, რადგანაც ეს უფლება თითონ მასა აქვს მინიჭებული და მეორეც, პრინცები არავითარს კანონს არ ექვემდებარებიან. როგორც აქედგანა სჩანს, ეჭვი არ არის, საქმე მართლა სასაცილოდ დაბოლოვდება: ელჩებს სასჯელის გამოძებნაში ტყუილი თავის მტვრევა შერჩებათ და დამნაშავენი მშვიდობით დარჩებიან...

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ბანქოს თამაშობა წლითი-წლობით ძლიერდება რუსეთში. როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, 1899 წელს გაყიდულა 545,643 დუჟინი სათამაშო ქაღალდი 2,935,199 მანეთისა, ამას გარდა გაყიდულა 167,059 ცალი ბანდეროლი 50,117 მან. 70 კაპეიკისა, სულ 2,985,316 მან. 70 კაპეიკისა. 1898 წელთან შედარებით გაყიდულა 202,698 მანეთზედ მეტისა. ამა 1900 წლის პირველ იანვრიდგან 1 აგვისტომდე გაყიდულა 1899 წელთან შედარებით 65,383 მანეთზედ მეტის სათამაშო ქაღალდი.

* * *

როგორც გერმანიის მთავრობის ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, გერმანიის ჯარის აფიცრებსა და ჯარის-კაცებს კარგი ჯამაგირი ჰქონიათ. გრაფ ვალდერზეეს თვეში ეძლევა 2500 მარკა *), ამას გარდა წელიწადში ეძლევა 10,000 მარკა დამატებითი ჯამაგირი. ამ წელს 12,000 მარკაც კიდევ სხვა მიიღო. ბრიგადების უფროსებს ეძლევათ თვეში 1,420 მარკა და დამატებითი—2400 მ., რაზმის უფროსებს —1120 მარ. და დამატებითი 1800 მარ., ბატალიონის უფროსებს და შტაბს-კაპიტნებს—865 მარკა, კაპიტნებს და როტმისტრებს—600 მარკა, პორუჩიკებსა და პოდპორუჩიკებს—425 მარკა. ყველა ამათ დამატებით ჯამაგირიც ეძლევათ. ფელდფებელ სა და ვახმისტრებს თვეში ეძლევათ 90 მარკა და 30 მარკაც დამატებითი; ვიცე-ფელდფებელებსა და სერჟანტებს 57—49 მ., უნტერ-აფიცერებს—36 მარკა, ეფრეიტორებს—17 მარკა, უბრალო ჯარის-კაცს—14 მარკა.

* * *

ფრანგს ლუი ლონეტტს, სამხედრო გემის კაპიტანს, ახალი პროექტი შეუდგენია პოლიუსისაკენ მოგზაურობისა. ამ კაცის აზრით, პოლიუსს მხოლოდ გვირაბის შემწეობით შეიძლება მიაღწიოს კაცმა. გვირაბი ყინულში უნდა გაითხაროს. უნდა დაიწყონ გვირაბის თხრა იმ ადგილიდგან, საიდგანაც დაუდნობელი ყინული იწყობა და თხარონ ვიდრე პოლიუსამდე. ლეიტენანტი ამტკიცებს, რომ ასეთის გვირაბის გათხრა ჯერ ერთი მეტად ადვილიაო, მეორე, არც კედლები უნდა და არც სხვა რამე—რადგანაც თვით ყინული მშვენიერ კედლობას გაუწევსო; ამას გარდა ასეთ გვირაბში სამაგალითოდ ეთბილებაო. გვირაბში უნდა გაიმართოს ელექტრონის განათება და სურსათის საწყობები.

* * *

როგორც ვუწყით, ტრანსვაალის მოხუცი პრეზიდენტი კრიუგერი უკვე ჩავიდა პარიჟში, იმ დღეს, რა დღესაც კრიუგერი პარიჟში მივიდა, იმის პატივ-საცემად აღგილობრივმა ჟურნალმა „Le monde illustre“-მ განსაკუთრებული ნომერი გამოსცა,

*) მარკა დაახლოვებით 31 კაპეიკია.

რომლის შედგენაშიაც საფრანგეთის თითქმის ყველა შესანიშნავმა მწერალმა მიიღო მონაწილეობა. ნომერში მშვენიერი სურათებია კრიუგერისა, იმის ცოლისა, ნათესავებისა, შემდეგ გადაღებულია პრეტორია, პრეზიდენტის სახლი, სახლის მოწყობილება და სხ. შინაარსს ნომრისას უმთავრესად მისაგებებელი წერილები შეადგენენ. ასეთის წერილებით ეგებებიან პრეზიდენტს ჟურნალში, მაგალითად, ფრანსუა კოპპე, ჟიულ კლარეტი, პოლ და ვიქტორ მარგარიტნი, ერნესტს დოდე და მრავალნი სხვანი. ჟურნალის თავში რედაქცია აცხადებს, რომ ნომრის გამოცემას არავითარი პოლიტიკური სარჩული არ უდევსო: ჩვენ მხოლოდ გვინდა პატივი ვცეთ და თანაგრძნობა გამოვუცხადოთ იმ კაცს, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვისო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ნოემბერი

**ლივადია**, 14 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე კარგად გაატარა; საღამოს ცხრა საათზე ტემპერატურა—36,5, მაჯა—66; მის უდიდებულესობას ღამე კარგად ეძინა; დილით თვით გრძნობიერება კარგი ჰქონდა და ჯანზე კარგად იყო, ტემპერატურა 36, მაჯა 66. ლეიბ-ხირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი; ექიმი ტიხონოვი.

13 ნოემბერი

**პეტერბურგი**. 12 ნოემბერს ხელმწიფე იმპერატორის ავადმყოფობის გამო პეტერბურგის ყველა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი უავგუსტოესის ავადმყოფის განკურნების შესავედრებლად.

მოვიდა დეპეშები, რომ პარაკლისი გადაუხდიათ აგრეთვე პეტროზავოდსკსა, გროდნოსა, კოსტრომასა, არზამასსა, ბაქოსა და ნოვოროსისკში.

**პეკინი**. დღეს დილით დიპლომატთა კორპუსი შეიკრიბა უკანასკნელ სხდომაზედ, რომელზედაც განხილულ იქმნა საბოლოოდ დადგენილი პირობანი ჩინეთთან ზავის შესაკრავად; საჭიროა მხოლოდ მთავრობათა თანხმობა; ამის შემდეგ დაიწყება პირისპირ მოლაპარაკება ჩინეთის რწმუნებულებთან. უმთავრესი მუხლები ზავზე მოლაპარაკებისა შედგენილია საფრანგეთის ნოტის თანახმად, ესე იგი უნდა მოითხოვონ აჯანყების მეთაურთა დასჯა, ჩინეთის მიერ ზარალის ზღვევა ევროპიელთათვის, ძლიერ რაზმების დაყენება მისსიების დასაცველად პეკინში და დაჭერა ზოგიერთ სიმაგრეებისა პეკინსა და ტაკუს შუა.

**ვაშინგტონი**. გერმანიის ელჩმა გოლებენმა სთქვა, რომ გერმანიის შეხედულება ჩინეთის საქმეების გამო ამ ბოლოს დროს არ შეცვლილა; გერმანია ისევე წინააღმდეგია ჩინეთის განაწილებისა, როგორც შტატები. გერმანია მეგობრულად უყურებს შტატებს და ეს გარემოება შესაძლებლად ჰყოფს Status quo ante'ს აღდგენას. საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ გერმანიას სხვა რამა ჰქონდეს განზრახული; დღევანდელი მისი პოლიტიკა იცვლა, როგორც 28 ოქტომბერი აღნიშნა ბიულოვმა. შემდეგ ელჩმა სთქვა, რომ ინგლისისა და გერმანიის შეთანხმება დამყარებულია ბიულოვის იმავე განცხადებაზედ და ეთანხმება შტატების პრინციპებსაო. გერმანიას ჰსურს აწარმოვოს აღებ-მიცემობა ჩინეთთან იმავე პირობით, როგორითაც სხვა სახელმწიფოები აწარმოებენ. გერმანიაში იმ აზრისანი არიან, რომ ინგლის-გერმანიის შეთანხმება სრულიად დააკმაყოფილებს შტატებსაო. არც ერთი სახელმწიფო არა ცდილობს ისე, როგორც გერმანია, ბოლო მოუღოს ჩინეთის საქმეთ დღევანდელ მდგომარეობასაო.

**პეტერბურგი**. პარაკლისები გადაუხდიათ კიდევ: ვლადიმირსა, გროდნოსა, ელიონკასა, პენზასა, კოვნოსა და არხანგელსკში.

**შანჰაი**. ხმა დადის, ვითომ ჯანჯიდუნს ცნობა მოუვიდა გაიფენფუდგან (ხუნანის პროვინცია), რომ რამდენიმე ათასი მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარის-კაცი ვეიხუფუში მივიდა და დასავლეთისკენ წავიდაო.

**პეკინი**. მიულენფელსის რაზმი მეტად ძნელის გზით 9 ნოემბერს მივიდა დიდ გალავანთან და აღმართა იქ დროშა.

როგორც სჩანს, ფრანგებს დიდი ბრძოლა ჰქონიათ მოკრივეებთან პაოტინფუს სამხრეთით.

14 ნოემბერი

**ვაშინგტონი**. მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია გამოაცხადოს უფრო დაწვრილებითი ცნობები პეკინში დადგენილ შეთანხმების შესახებ. იგი სიმართლედ სთვლის იმ ამბავს, რომ შეთანხმებას საფუძვლად დაედო საფრანგეთის ნოტა. სიმაგრეების დანგრევისა და მუდმივი სამხედრო ოკუპაციის შესახებ სრულ თანხმობას ვერ გამოაცხადებს შეერთებული შტატები, თუ ელჩები არ შესცვლიან ამ წინადადების ზოგიერთ არსებით მუხლებს ამიტომ წინადვე შეიძლება ითქვას, რომ შეერთებულ შტატების მთავრობა მოითხოვს ამ წინადადებაში ზოგიერთ ადგილის შეცვლას. ამას გარდა საშინლად დიდი საზღაურისა და ზოგიერთ სახელმწიფოთაგან მოძრაობის მეთაურთა დასჯის შეუსაბამო მოთხოვნანი აუცილებლად საჭიროდ ჰხდიან შეერთებულ შტატების საქმეში ჩარევას და მოთხოვნილებათა შემცირებას.

**ვაშინგტონი**. უეჭველია, კონჯერი ჩქარა დაბრუნდება ამერიკაში, რადგანაც პეკინის განთავისუფლების დღიდგან მასა და ამერიკის მთავრობას სხვა-და-სხვა შეხედულობა აქვთ ჩინეთის საქმეზე. იგი მომხრეა იმ ზომებისა, რომელსაც მაკ-კინლეი მეტად რადიკალურ ზომებათა სთვლის. კონჯერი თავს შეურაცხყოფილადა სთვლის, რომ ვაშინგტონში მისი თანხმანი არ არიან.

**ვაშინგტონი**. ამერიკის მთავრობამ მიჰმართა ოთხ სახელმწიფოს და სთხოვა, ნება მისცენ დააარსოს მათ მიწა-ადგილში ნახშირის სადგურები. იგი შეეცადა შეეძინა დანიისა და ვესტინდიის კუნძულები, ადგილები დულჩეს ყურეში, აგრეთვე გალაპაგის კუნძულები, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა! მთავრობა აპირობს თხოვნა კვლავ განიმეოროს. მთავრობას აზრადა აქვს აგრეთვე დააარსოს ნახშირის საწყობი ჩიფუშიაც.

15 ნოემბერი

**ლივადია**, 15 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე კარგად გაატარა; დღე საათ ნახევარი ეძინა. საღამოს 9 საათზედ სიცხე ჰქონდა 36,8, მაჯის ცემა 68. ღამე მისს უდიდებულესობას საკმაოდ კარგად ეძინა, დილით თვით-მგრძნობელობა და ძალღონე კმასაყოფელი ჰქონდა. 9 საათზედ სიცხე ჰქონდა 35,8, მაჯის ცემა—68. ლეიბ-ხირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი, მკურნალი ტიხონოვი.

**პეტერბურგი**. 14 ნოემბერს, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს, პეტერბურგი მორთული იყო ბაირაღებითა და ჩირაღდნებით; ყოველ ეკკლესიაში პარაკლისი გარდაიხადეს.

ხელმწიფე იმპერატორის ჯანმრთელობის სავედრებელი პარაკლისები გარდაუხდიათ ომსკსა, უფასა, ყაზანსა, ვოლოგდასა და ნიჟნი-ნოვგოროდში.

**ლონდონი**. ხმა დადის, რომ, როგორც აღმოაჩინეს, რობერტსის მოკვლა ჰქონიათ განზრახულიო; შეთქმულებაში მონაწილე ყოფილა ოცამდე უცხო-ქვეყნელი; შეთქმულებს ნალმი გაუყვანიათ, რომელიც უნდა აფეთქებულიყო. თურმე კვირას იოვანნესბურგში რობერტსის ეკკლესიაში ყოფნის დროს, შეთქმულება გამოუაშკარავებიათ პოლიციასა და რობერტსის მცველ ამალას. ათამდე კაცი, უმეტესად იტალიელები, დაპატიმრებულნი არიან.

**ბელგრადი**. შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი გეორგიევიჩის კაბინეტში გენჩიჩი, რომელიც კვირას მოვიდა, დაპატიმრებულ იქმნა და ის ბრალი ედება, რომ შეურაცხება მიაყენა მისს უდიდებულესობას თავისს დროზედ უცხო-ქვეყნის გაზეთში დაბეჭდილ სიტყვებით და აგრეთვე პირდაპირ მეფის სახელობაზედ გაგზავნილს ორს წერილშიო. უეჭველია, გენჩიჩსაც სამართალში მისცემენ სახელმწიფო ფულის მითვისებისათვის.

**მოსკოვი**. 14 ნოემბერს ყველა ეკკლესიაში და დაწესებულებაში, რომელიც-კი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის მფარველობის ქვეშე იმყოფება, გარდახდილ იქმნა პარაკლისნბი. სატახტო ქალაქი დროშებით არის მორთული.

**პრეტორია**. ბოტასა და ვილიენის რაზმები ამ ოლქში უფრო მხნედ ჰმოქმედებენ. ამბობენ, ახალი გეგმა შეადგინეს, ანუ, უკეთ, ძველი განაახლესო. იმათ განზრახვა აქვთ საბრძოლველი ადგილი კაპსკის ახალშენთან გაჰმართონ, სადაც მრავალნი იქაურნი გოლანდიელნი, თუ მცირეოდნად წაქეზებულ იქმნენ, ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებენ და იარაღის საიდუმლო საწყობებიც მოეპოვებათ. მტერი თითქმის ყველგან ტრანსვაალსა და ორანჟეს ახალშენში დიდად მხნედ ჰმოქმედებს.

**პეკინი**. ელჩნი შეთანხმდნენ შემდეგის ორის წინადადების შესახებ, რომელნიც წინად უარ-ყოფილ იყო და რომელნიც ამ ჟამად მცირეოდნად შეცვლილებია. ერთი წინადადება წარმოდგენილია ინგლისის ელჩის მიერ და თხულობს ჩინეთის თანხმობას, რათა სავაჭრო ხელშეკრულობანი გადასინჯულ იქმნენ; მეორე—იტალიის ელჩის მიერ და თხოულობს, რომ ჩინეთი დაექვემდებაროს დიდთა სახელმწიფოთა საფინანსო მეთვალყურეობას, რათა ამითი უზრუნველ-ყოფილ იქმნას სასყიდელის გარდახდა; ეს მეთვალყურეობა საერთაშორისო საკანტროლო უწყებასავით იქნება, ეგვიპტეს სახელმწიფო ვალის კასსის მსგავსად. სასყიდელი, რომელსაც ჩინეთსა სთხოვენ, სულ მცირეოდენის დაფასებით, 60 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრის. ის გარემოება, რომ ერთობილ ნოტის გარდაცემა გვიანდება მოკავშირე სახელმწიფოთა კაბინეტების მიზეზით, ხელს უწყობს საქმეთა მდგომარეობის გაძნელებას და აძლიერებს დაბრკოლებას ვაჭრობასა და საფინანსო აღებ-მიცემობაში, მეტადრე შინაგან გარდასახადთა გამოართმევის საქმეში. რაკი სასტიკად ადევნებენ თვალ ყურს საფინანსო მდგომარეობას, სესხთა გარდახდა დეკემბერსა და იანვარში უზრუნველ-ყოფილია, მაინც კი შემდეგ შეიძლება ვალების გარდახდის საქმე დროებით შეჩერდეს.

**ბერლინი**. როგორც ვოლდერზეე იუწყება, იორკის რაზმი 6 ნოემბერს კალგანს მისულა და 10-ს უკანვე დაბრუნებულა. — პოდპოლკოვნიკი არნსტედი მცირეოდენის ჯარით ტიანძინიდგან ვუ-ჩჟინ-სიანსა და ნაიცაი-ცუნში წასულა, ტიანძინის ჩრდილოეთ დასავლეთით 55 და 40 კილომეტრის მანძილზედ.—მეორე ქვეითა რაზმის პირველი ბატალიონი პირდაპირ პეკინში მიდის.

**ლონდონი**. როგორც მოსალოდნელია იმ შედეგიდგან, რომელიც დიდთა სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთთან პეკინის სადიპლომატიო კორპუსის დადგენილების გამო აზრთა გაზიარებას მოჰყვა, დიდნი სახელმწიფონი სავსებით შეთანხმდებიან, სადიპლომატიო წრეებში ამის დასამტკიცებლად ის მიაჩნიათ, რომ დადგენილებაში გარდაწყვეტით არ არის მოთხოვნილი მეთაურთა სიკვდილით დასჯა, თუმცა დედა-აზრის მხრივ სრულიად სასურველია, ვითარცა მათგან დამსახურებულიო. შემდეგ, რაც შეეხება სასყიდელის გარდახდევინებას, ჯერ, ყოველთ უწინარეს, ეჭვი იბადება, რომ ჩინეთს შეეძლოს ამ ვალის გარდახდა, რადგან ცნობები არა აქვთ ამ ქვეყნის ქონებრივ შემძლებელობის გამოსარკვევად.

### წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ 242 ნომერში დაბეჭდილია „წერილი ქართველ საზოგადოების მიმართ“ ბ-ნის დიმიტრი არაყიშვილისა, რომლითაც იგი საზოგადოებას იწვევს დახმარება აღმოუჩინოს, რომ ბალანჩივაძის მიერ დაწერილი პირველი ქართული ოპერა გამოცემულ იქმნეს. მე ჩემის მხრით გამომიღია ერთი მანეთი, მაგრამ არ ვიცი ვის ან სად უნდა გავეგზავნოს ფული. ვსთხოვ რედაქციას გაზეთის საშუალებით გვაცნობოს, ვის ან სად უნდა, გაეგზავნოს ეს ფული. *)

აკაკი წერეთელი

*) ფული შეიძლება „ივერიის“ რედაქციას გამოუგზავნოთ, რომელიც თავისს დროზედ დანიშნულებისამებრ გარდასცემს. რედ.


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |

# 1901 წლ.

## მიიღება ხელის მოწერა

# „მოამბე“-„ცნობის ფურცელი“-ზე

ყოველ-თვიური ჟურნალი „მ ო ა მ ბ ე“ (წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | სამზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 10 მ. | 1 წლით | 13 მ. |
| 6 თვით | 6 „ | 6 თვით | 7 „ |
| 3 „ | 3 „ | 3 „ | 5 „ |

წლიური ფასის განაწილება:

პირველად—5 მანეთი,
1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და
1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (წელიწადი მეექვსე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | სამზღვარ-გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 6 მ. | 1 წლით | 9 მ. |
| 6 თვით | 4 „ | 6 თვით | 7 „ |
| 1 „ | 75 კ. | 1 თ | 90 კ. |

წლიური ფასის განაწილება:

პირველად—3 მანეთი,
პირველ აპრილამდე—3 მანეთი.—
თითო ნომერი—3 კაპ.

ვინც „მ ო ა მ ბ ე“-ს მთელის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნად ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი.

წლიური ფასის და საფოსტო ხარჯის განაწილება ასე შეიძლება: პირველათ—6 მანეთი, პირველ აპრილამდე—3 მანეთი და პირველ სექტემბრამდე—2 მანეთი.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა 1900 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოვებულის პროგრამით და გადიდებულის ფორმატით.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4—5 კ., თუ განცხადება 3-ჯერზე მეტ დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლებ ღირება.

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“. (3—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 го Ноября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე